# კომენტარები ასოცირების შეთანხმებისა და დღის წესრიგის იმპლემენტაციის 2019 წლის სამოქმედო გეგმის პროექტზე (ანტიკორუფციული პოლიტიკა და საჯარო ადმინისტრაციის რეფორმა)

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

**ზოგადი კომენტარები**

- სამოქმედო გეგმას არ აქვს გავლენის (impact) ინდიკატორები, ამდენად მისი შესრულების შემთხვევაშიც კი შეუძლებელი იქნება იმის დადგენა, თუ რამდენად შეუწყო ხელი გეგმაში ჩამოთვლილი აქტივობების განხორციელებამ ასოცირების შეთანხმებისა და დღის წესრიგის ზოგადი მიზნების (პრიორიტეტების) მიღწევას.
- სამოქმედო გეგმაში შეტანილი არ არის ასოცირების მოკლევადიანი პრიორიტეტი (მოქალაქეთა უფლების გაუმჯობესება ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, როგორც კორუფციის ეფექტიანად პრევენციის ერთ-ერთ საკვანძო ზომაზე), რომელიც გასულ წელს ვერ შესრულდა.
- სამოქმედო გეგმაში შეტანილი არ არის ერთ-ერთი საშუალოვადიანი პრიორიტეტის (საჯარო ადმინისტრირების რეფორმის გეგმისა და ძირითადი სტრატეგიების განახლება, საჯარო ადმინისტრირების პრინციპების შესაბამისად) შესაბამისი აქტივობები.

**პუნქტობრივი კომენტარები**

- 6.2 - აქტივობის შესრულების ინდიკატორად მითითებულია „ახალი სერვისების/ პროექტების შესაბამისი რაოდენობა; ხარვეზების გამოვლენითა და აღმოფხვრის გზით გაუმჯობესებული სერვისების სათანადო რაოდენობა.“ გაუგებარია, თუ რას გულისხმობს „სათანადო რაოდენობა.“
- 24.1 - აქტივობის შესრულების ინდიკატორად მითითებულია „My.gov.ge-ზე ფიზიკური პირებისა და იურიდიული პირებისათვის ინტეგრირებული 500-ზე მეტი ელექტრონული სერვისი.“ სასურველია ე.წ. baseline-ის მითითება, ანუ რამდენი სერვისია ინტეგრირებული ამჟამად და რამდენი ახალი სერვისის დამატება იგეგმება.
- 57.1 - აქტივობის შესრულების ინდიკატორად მითითებულია „ჩატარებული ღონისძიებების თემატიკა და რაოდენობა; ინიცირებულ შეთანხმებათა რაოდენობა.“ ამგვარი ინდიკატორი პრაქტიკულად უსარგებლოა, თუ მითითებული არ იქნება ღონისძიებების კონკრეტული თემატიკა და სამიზნე რაოდენობები.
- 57.2 - აქტივობის შესრულების ინდიკატორად მითითებულია „ჩატარებული ღონისძიებების თემატიკა და რაოდენობა; გადამზადებულ თანამშრომელთა

რაოდენობა.“ ამგვარი ინდიკატორი პრაქტიკულად უსარგებლოა, თუ მითითებული არ იქნება ღონისძიებების კონკრეტული თემატიკა და სამიზნე რაოდენობები.

- 58.4 - აქტივობის შესრულების ინდიკატორად მითითებულია „ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა; ტრენინგებში მონაწილე პირთა რაოდენობა.“ საჭიროა კონკრეული სამიზნე რაოდენობების მითითება (რამდენი ტრენინგი და რამდენი მონაწილე).
- 58.5 - აქტივობის შესრულების ინდიკატორად მითითებულია „პროფესიული საჯარო მოხელეების დამოკიდებულების კვლევის შედეგები; საჯაროდ გამოქვეყნებულია ვიდეორგოლების რაოდენობა; გამოქვეყნებული გაიდლაინების რაოდენობა. “ საჭიროა კონკრეული სამიზნე რაოდენობების მითითება (რამდენი ვიდეორგოლი და რამდენი გაიდლაინი).
- 59.1, 59.2 - ორივე შემთხვევაში საჭიროა გადამზადებულ პირთა რაოდენობის (როგორც აქტივობის შესრულების ინდიკატორის) დაკონკრეტება და სამიზნე რიცხვების განსაზღვრა.